საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/121 " 11 " აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 4 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 5 აგვისტოს მიღებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადება.

2020 წლის 11 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მოსამართლეები: მარინა სირაძე, ლაურა მიქავა, ვერა დოლიძე, ინდირა მაშანეიშვილი, მაკა გორგოძე, თამარ სვანიძე, მარინე იმერლიშვილი, ლერი თედორაძე, ირმა პერანიძე, ხათუნა ხომერიკი, მალხაზ ოქროპირაშვილი, ნანა კალანდაძე. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს ვასილ მშვენიერაძის კანდიდატურას და აღნიშნეს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა უმეტესობა იცნობს ვასილ მშენიერაძეს 10 წლის განმავლობაში და ახასიათებენ მას როგორც კვალიფიციურ, გამოცდილ, კომუნიკაბელურ პიროვნებას რომელიც გამოირჩევა პირადი და პროფესიული უნარებით. მოსამართლეებმა ყურადღება გაამახვილეს ვ. მშვენიერაძის მენეჯერულ გამოცდილებაზე, კერძოდ აღნიშნეს, რომ იგი 2 წელზე მეტი იყო საერთო სასამართლოებში ყველაზე დიდი სასამართლოს თავმჯდომარე, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც წარმატებული მუშაობის საფუძველს ქმნის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ 2020 წლის 12 აგვისტოდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი